საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისადმი ერთგულების ვითარებაში

დამთავრდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობა

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ულბრიხტის მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდა 29 დელეგატი. საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ვ. ულბრიხტმა, რომელმაც განაცხადა, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში იყო. ეს ინტერესი განსაკუთრებით იმით იყო გამოწვეული, რომ ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას მეთაურობდა. ვ. ულბრიხტმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა გერმანელი კომუნისტების, გდრ-ს მშრომელების გულთბილი მადლობა ბერლინში ჩამოსვლისათვის. ვ. ულბრიხტმა მთელი დარბაზის აპლოდისმენტების ქვეშ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ქვეყნის გზა არის გამოცდილების უდიდესი საგანძური, ყველა მოძმე კომუნისტური პარტიის ძლიერების წყარო. სკკპ პროგრამა, რომელიც XXII ყრილობამ მიიღო, ითვლება შთამაგონებელ დოკუმენტად მშვიდობის, უშიშროების, დემოკრატიისა და პროგრესისათვის მებრძოლ ყველა ხალხისათვის. ჩვენ ამჯერადაც ვაცხადებთ, რომ ყოველი ძალით განვამტკიცებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, ყველა მარქსისტულ-ლენინურ პარტიასთან ერთიანობასა და თანამშრომლობას.

VI ყრილობის დელეგატებმა დიდი ერთსულოვნებითა და აღმავლობით მიიღეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ახალი პროგრამა და აგრეთვე პარტიის ახალი წესდება.

გამოხატავდნენ რა გერმანელ კომუნისტთა ერთნახევარმილიონიანი არმიის; გდრ-ის მშრომელთა ერთსულოვან რწმენას, სიტყვებში გამოსული დელეგატები აცხადებდნენ, რომ ყრილობის გადაწყვეტილებები გმირული შრომისათვის აღაფრთოვანებენ ახალი გერმანიის მშენებლებს.

22 იანვარი

შაბათი,
1963 წ.
№ 15 (2120)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 2 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მორიგ სხდომაზე განხილულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

დამტკიცდა „ბ“ კლასის ზონათა რაოდენობა რესპუბლიკების მიხედვით. რსფსრ-ში შექმნილია 5 ზონა, უკრაინაში — 3 ზონა, ხოლო დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკები კლავინდებურად გაერთიანდნენ 2 ზონაში.

დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა გუნდების უცხოეთში მოგზაურობის შედეგების განხილვას. პრეზიდიუმმა მოისმინა ცსკა-ს (ვ. ნიკანოროვი), მოსკოვის „ტორპედოსა“ (გ. ქარკოვი) და ლენინგრადის „ზენიტის“ (ე. ელისეევი) წარმომადგენელთა ინფორმაციები ამ გუნდების მიერ საზღვარგარეთ ჩატარებულ შეხვედრებზე. პრეზიდიუმმა ხაზი გაუსვა, რომ „ტორპედოს“ დამარცხებამ შოტლანდიის „ჰარტსთან“ — 0:6, „ზენიტისა“ — თურქეთის „ბეშიქთაშთან“ — 1:4 და ცსკა-ს დამარცხებამ პარიზის „რესინგთან“ — 1:5 სერიოზულად შელახა საბჭოთა ფეხბურთის პრესტიჟი. „ტორპედოს“, „ზენიტისა“ და ცსკა-ს ფეხბურთელებმა თამაშები ჩაატარეს დაბალ სპორტულ დონეზე, არ გამოავლინეს გამარჯვებისადმი ლტოლვა. „ტორპედოს“ (ვ. ხატუნცევი და გ. ქარკოვი), ცსკა-ს (ნ. შიტოვი და ნ. ნიკანოროვი) და „ზენიტის“ (ვ. აგეევეცი და ე. ელისეევი) ხელმძღვანელებმა და მწვრთნელებმა ვერ უზრუნველჰყვეს გუნდების სათანადო მომზადება საერთაშორისო მატჩებისათვის, დაუშვეს შეცდომები შემადგენლობათა დადგენისას, ვერ გამოიჩინეს სათანადო მომთხოვნელობა ფეხბურთელთა მიმართ და სხვ.

ცსკა-ს, „ტორპედოსა“ და „ზენიტის“ დიდი დამარცხებები ნიშანია იმისა, რომ ოსტატთა გუნდებთან მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ხარვეზებს, ხოლო სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მთავარი მწვრთნელები არასათანადო კონტროლს უწევენ საერთაშორისო შეხვედრებისათვის გუნდების მზადებას.

პრეზიდიუმმა დაადგინა „ზენიტის“ გამოსვლა თურქეთში ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად, ხოლო „ტორპედოსი“ შოტლანდიაში — მეტად არადამაკმაყოფილებლად, რაც შეეხება ცსკა-ს, მისი ტურნე საფრანგეთში ჩაითვალა სპორტული კლუბის ჩავარდნად. „ტორპედოს“ უფროს მწვრთნელს გ. ქარკოვს, ცსკა-ს გუნდის უფროსს ვ. ნიკანოროვსა და „ზენიტის“ მთავარ მწვრთნელს ე. ელისეევს მკაცრი გაფრთხილება მიეცათ გუნდების სუსტი მომზადებისათვის.

პრეზიდიუმმა დაადგინა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში შეიქმნას მწვრთნელთა საბჭო, რომელსაც დაევალა კონტროლი და დახმარება გაუწიოს მწვრთნელებს ნაკრები და საკლუბო გუნდების მომზადების საქმეში საერთაშორისო შეხვედრებისათვის.



მაღალი წოდება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ფეხბურთის მინდვრებზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი თამაშისათვის, მაღალი ოსტატობისათვის მიენიჭოს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის ყოფილ მოთამაშეს, თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელს ზაურ კალოევს.

ეს უმაღლესი სპორტული წოდება სავსებით სამართლიანი და დამსახურებული ჯილდოა ქართული ფეხბურთის ვეტერანისათვის, რომელიც ათეულ წელზე მეტია წარმატებით იცავს ჩვენი რესპუბლიკის გუნდების ღირსებას საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზზე. 31 წლის ზ. კალოევი დღესაც ჩვეული ოსტატობით ლიდერობს თბილისის „დინამოს“ თავდასხმის ხუთეულს.

ამერიკაში წასვლამდე

ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე დაიწყო ქალაქის მძლეოსანთა ტრადიციული მეთერთმეტე შეჯიბრება, სადაც სხვებთან ერთად გამარჯვებისათვის იბრძვიან ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენები — ტ. შჩელკანოვა, ე. ოზოლინი, გ. პოპოვა, ა. მიხაილოვი, ვ. ლიპსნისი და სხვები. შეჯიბრებისადმი გულშემატკივართა ინტერესს ზრდიდა ისიც, რომ აქ ძალებს სცდიდნენ აშშ-ს მძლეოსანთა ღია ჩემპიონატზე მიწვეული მსოფლიო რეკორდსმენები ვ. ბრუმელი, ი. ტერ-ოვანესიანი და ევროპის პირველობის პრიზიორი ვ. ბულიშევი.

პირველ ფინალურ შეხვედრებში გამარჯვებულთა უმეტესობამ საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს. როცა ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში თამასა 1.95 მ-ზე ასწიეს, სექტორს შემორჩა მხოლოდ ვ. ბრუმელი. მან ყველა მომდევნო სიმაღლე ადვილად გადალახა, ხოლო 2 მ 20 სმ-ზე დასჭირდა ორი ცდა. იგი დაძლია მეორე ცდით და აჩვენა მიმდინარე სეზონში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი დახურული შენობისათვის.

წარმატებით გამოვიდა ვ. ბულიშევიც. მან 600 მ რბენაში აჩვენა 1.19,5 და 0,2-ით გააუმჯობესა ძველი საკავშირო მიღწევა, რომელიც ი. ლიტუევსა და ო. პოპკოვს ეკუთვნოდათ. 110 მ თარჯრბენში (თარჯის სიმაღლე 1 მ) ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენმა ა. მიხაილოვმა დისტანცია გაირბინა 13,9-ში და გაიმარჯვა. ქალთა შორის 100 მ რბენაში ფინიშთან პირველი იყო მსოფლიო რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში ტ. შჩელკანოვა, მისი დროა 12,1. 80 მ თარჯრბენი დამთავრდა ა. ჩერნიშევას უპირატესობით — 11,0, ხოლო სიმაღლეზე ხტომაში უძლიერესი აღმოჩნდა ლ. კოსტენკო. მისი შედეგია 1 მ 60 სმ.

* * *

სურათზე: — (მარცხნიდან) ი. ტერ-ოვანესიანი, ვ. ბულიშევი და ვ. ბრუმელი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამერიკის მძლეოსანთა შეჯიბრებაში.

ლიდერობს ნ. გაფრინდაშვილი

ბევერვეიკის ქალთა საერთაშორისო ტურნირზე მწვავედ ჩატარდა III ტურის შეხვედრები. ყველაზე ადრე დამთავრდა ნ. გაფრინდაშვილის შეხვედრა ვინინგრენთან. ჰოლანდიელმა მოჭადრაკემ არასწორად გაითამაშა დებიუტი და მალე მიიღო მძიმე მდგომარეობა. ზუსტი თამაშით მსოფლიო ჩემპიონმა უკვე მე-19 სვლაზე აიძულა იგი დანებებულიყო.

აღსანიშნავია ტურნირის ორი ფავორიტის, რუმინელ ნიკოლაუსა და ჰოლანდიელ ჰეემსკერკის შეხვედრა. ნიკოლაიუმ უფრო ძლიერად ჩაატარა პარტია და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. იოვანოვიჩმა უკეთეს მდგომარეობაში გადადო პარტია.

III ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს 3 ქულა აქვს, ნიკოლაუსა და ჰეემსკერკს — 2 ქულა თითოეულს.

[illegible]

მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენი ქალები, რომლებმაც მოიგეს რა რბენები 5 და 10 კილომეტრზე, პირველობა არავის დაუთმეს ესტაფეტაშიც. 3×5 კმ. ქ. ბოიარსკიხმა, ა. კოლჩინამ და ლ. ბარანოვამ აჩვენეს ყველაზე კარგი დრო—1:01.55.

* * *

ესტონეთის ჩოგბურთელთა ნაკრებმა გუნდმა ფინეთში ადგილობრივ სპორტსმენებთან ჩაატარა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა და გაიმარჯვა ანგარიშით 10:4.

მედლები გადაეცათ თბილისელ დინამოელებს

გუშინ, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში დედაქალაქის საზოგადოებრიობა შეხვდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს, რომელმაც გასული წლის საკავშირო გათამაშებაში საპატიო მესამე ადგილი დაიკავა.

შეხვედრა გახსნა რესპუბლიკის სპორტკავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. სიხარულიძემ. სიტყვა აიღო ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის მდივანმა ვ. მოშკარკინმა. მან დაახასიათა თბილისის „დინამოს“ როლი საბჭოთა ფეხბურთის განვითარებაში და მიულოცა დიდი წარმატება საკავშირო პირველობის გათამაშებაში. ამხ. ვ. მოშკარკინმა გუნდის უფროსს ა. ლოლობერიძეს გადასცა მე-3 ხარისხის დიპლომი, სამახსოვრო ალამი, გუნდის მწვრთნელებს მ. იაკუშინსა და ა. კოტრიკაძეს აგრეთვე მე-3 ხარისხის დიპლომები და სამახსოვრო ალმები. სპორტის ოსტატ მ. მესხს გადაეცა სამკერდე ნიშანი წარწერით „სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში 20-ზე მეტ მატჩში თამაშისათვის“. აქვე გამოცხადდა ზ. კალოევისათვის სპორტის დამსახურებული ოსტატის, ხოლო ა. ხელაძისა და მ. ხურცილავასათვის ოსტატის წოდების მინიჭება.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა „დინამოს“ მეკარე ს. კოტრიკაძე. მან ილაპარაკა ოლიმპიური ნაკრების ლათინურ ამერიკაში მოგზაურობის შესახებ და მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას გულთბილი შეხვედრისათვის.

პრეზიდიუმს მიესალმნენ აკადემიკოსი გ. შენგელაია, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. აფხაიძე, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელები და სხვები.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

თბილისში, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის საჭადრაკო პირველობაში 17 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა რ. გრიგოლიამ (14 ქულა). მეორე ადგილი წილად ხვდა ა. გულალაშვილს (13 ქულა), მესამე — სპორტის ოსტატს კრივში ბ. კალაძეს.

სურათზე: პირველობაში გამარჯვებულნი (მარცხნიდან) რ. გრიგოლია, ბ. კალაძე და ა. გულალაშვილი.

ფოტო სპორტის ოსტატ კ. ზუბიაშვილისა.

პირველი ნაბიჯები ნახევარფინალისაკენ

უკვე კარგა ხანია დაიწყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება ხელბურთში ქალთა გუნდებს შორის. თასისათვის ბრძოლის უფლება ჯერჯერობით შენარჩუნებული აქვთ ნიდერლანდების, დანიის, რუმინეთის, იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის უძლიერეს კოლექტივებს. აღსანიშნავია, რომ ჩეხოსლოვაკიიდან თასისათვის ბრძოლის უფლება მოპოვებული აქვს ორ გუნდს — ჩკდ-ს და „სპარტაკ-სოკოლოვოს". გასულ შაბათს სწორედ ამ უკანასკნელთან ჰქონდა პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა მოსკოვში საბჭოთა კავშირის ჩემპიონს „ტრუდს". პირველი მატჩი ჩვენი ქვეყნის ხელბურთელებმა მოიგეს მინიმალური სხვაობით — 8:7 (4:3) და ახლა ისინი მეორე მატჩს პრაღაში, 27 იანვარს ჩაატარებენ. ნახევარფინალში გასვლისათვის ჩვენს ხელბურთელებს ფრეც აწყობს.

თავისი პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა ჩაატარეს რუმინელმა ხელბურთელებმაც („რაპიდი"). მათი მეტოქე იყო იუგოსლავიის ჩემპიონი — ზაგრების „ლოკომოტივი". მატჩში გაიმარჯვა „რაპიდმა" ანგარიშით 13:8.

307 მეტრი მიწის სიღრმეში

...ნელ-ნელა მივყვებით უფსკრულში მოქანავე კიბეს, მცველ თოკსაც თანდათან უშვებენ; შენს მაღლა და დაბლა უნიშნო წყვდიადი ან ჩამიღლეპილი კედლებია.

რაც უფრო ღრმად ჩადიხართ, კიბე ზამბარასავით მაინც იჭიმება, ბრუნავს; ერთხანს შვეული კედლის პარალელურად ეშვები; მართალია, მასზე ფეხს ვერსად იკიდებ, მაგრამ კლდის სიახლოვე, რაღაც შეუცნობელ იმედს გაძლევს, ძალას გმატებს; მალე უარყოფითი კედელი იწყება, ჰკიდიხარ სიცარიელეში, კედელი შენგან შორსაა, ხელები უფრო მარჯვედ უხვევა კიბის თოკებს; სადღაც ვიწრო ნაპრალიდან ყინულივით ცივი წყალი გამოსჩქეფს; სიჩქარე არ შეიძლება, კიბე ისედაც სველია, ისლა გრჩება, მოთმინებით გაუძლო უსიამოვნო შხაპს: წყლის ჭავლს რომ თავს დააღწევ, ერთხანს კვლავ ჰაერში გიხდება ბზრიალ-ტრიალი. კუნთები შესვენებას ითხოვენ; ძახილზე მცველ თოკს აჩერებენ, ახლა შეიძლება კარაბინით კიბეს დაეკიდო, ხელები დაბლა დაუშვა, ოჰ, რა შვებას გრძნობ ამ წუთში! მცველი თოკი კვლავ მოძრაობაშია, უცებ გრძნობთ, ფეხი მყარ გრუნტზე შედგით, მაგრამ ეს ფსკერი კი არა, პატარა უნაგირაა, საიდანაც უფსკრული გეზს იცვლის, კიდევ ცოტა და სადღაც ქვემ ხედავ მეგობართა მოციმციმე ნათურებს — უფსკრულის „ვარსკვლავებს". 56-მეტრიანი უფსკრული დაძლეულია, მოპოვებულია კიდევ ერთი გამარჯვება... ამასობაში როლანდმაც დარეკა — ამინდი კვლავინდებურად შესანიშნავიაო, ჰაერის ტემპერატურა ჩრდილში 27 გრადუსიაო... ამ დროს ჩვენთან კი თერმომეტრი 2 გრადუსსაც არ უჩვენებდა.

მოიერიშენი მაღალჭერიან თაღოვან დარბაზში პატარა კაცუნებად მოვჩანდით, მისი შვეული კედლები მაღლა გუმბათისებურად იკვრებოდა; „66"-საგან განსხვავებით სივრცის ნაკლებობას არ ვგრძნობდით, საჭიროების შემთხვევაში შეგვეძლო კარვის გამართვაც; ამ დარბაზს უცბად აგრძელებდა ახალი უფსკრული, რომელიც ადრინდელი გაზომვით 4 ათეულ მეტრამდე აღწევდა. ამგვარად, ჩვენ ორ უფსკრულშუა აივანზე აღმოვჩნდით... აქ, ზედაპირიდან 122 მეტრის სიღრმეზე, რჩებოდა 5-კაციანი ჯგუფი, უფრო ღრმად ჩაშვების „საგზური", პირველ რიგში, სამ მონაწილეს ეძლეოდა, მათ რიცხვში იყვნენ ტოპოგრაფები ჯიშკარიანი, ვართანოვი და მიწისქვეშეთის გამოცდილი „ლოცმანი" ოქროჯანაშვილი. საჭიროების შემთხვევაში, რა თქმა უნდა, შეგვეძლო დამატებითი მონაწილეების ჩაშვება...

ეს-ეს არის 40 მეტრის სიღრმის ჭაში მესამე კაციც ჩავუშვით. დაიპყრეს რა ეს შახტი, ისინი 162 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდნენ. ყოველ 15-20 წუთში ჯგუფები ერთმანეთს აწვდიან „უკანასკნელ ცნობებს"... ტელეფონის ზარი ხშირად წკრიალებს, მაგრამ ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებდა ცნობები სიღრმიდან, სამეული კი მიიწევდა წინ და წინ, ჯერ კიდევ ნაცნობ დერეფნებში... სამეულმა გვაცნობა: 205 მეტრს სიღრმეს მიაღწიეთ, ვიწრო ნაპრალში ტელეფონის აპარატის გადატანა დიდ დროს მოითხოვსო, ამიტომ იძულებული ვართ აპარატი ადგილზევე დავტოვოთ... წინმავალ ჯგუფს ვემშვიდობებით, მათთან კავშირი წყდება...

საათმა განვლო, რაც სამეულთან კავშირი შევწყვიტეთ, „მიწი", „66" და „122" ერთმანეთში გაცხოველებით საუბრობდნენ... ღრმა უფსკრულების დაპყრობისას ლოდინი და ისიც უაღრესად მძიმე პირობებში, სპელეოლოგთა უცილობელი ხვედრია. ორ უფსკრულშუა „ჩადგმული" აივნის ფართობი, რომელზეც „დავსახლდით", 25 კვ მეტრს აღწევდა, ხანგრძლივი დგომისათვის კი გამოსადეგი იყო მხოლოდ კედლისპირა ვიწრო ზოლი: აქ არ წვიმდა, თანაც შემთხვევით ვარდნილი ქვისაგანაც დაზღვეული ვიყავით.

იდუმალება, წყვდიადი და განმარტოება თავისებურად მოქმედებს მიწისქვეშა სამყაროს მკვლევარებზე. შემჩნეულია, რომ ასეთ გარემოცვაში ხშირად ადამიანი მიისწრაფვის არ „უსმინოს" უფსკრულის მდუმარებას, სიმღერით და ხმაურით დაარღვიოს მისი მყუდროება და ამით რამდენადმე ჩვეულ გარემოში იგრძნოს თავი... ზოგისათვის პირიქით, ნეტარებაა უსმინო ჭეშმარიტად იდუმალ ხმებს — წვეთის „მელოდიებს"...

ტელეფონთან ვალერი მორიგეობს. მე, ბორისმა და იგორმა მშრალი სპირტის „კოცონის" ირგვლივ მოვიკალათეთ, ჩვენი ყურადღება გივი სმირისკენაა მიპყრობილი, რომელიც უკვე „მღვიმური ავადმყოფობითაა" შეპყრობილი. სტვენით რომ დაიღალა, ჰარი ბელაფონტეს რეპერტუარს დაუწყო „ჩხრეკა", აღგზნებით მღეროდა, განუწყვეტლად როკავდა, ტაშს უკრავდა. „ხელოვნების საქმეებს" რომ მორჩა, ძალოსნობას მიჰყო ხელი — ვეებერთელა ლოდებით ჟონგლიორობდა, საასპარეზოდ გვიწვევდა... გერგედავა ყოველ ნახევარ საათში ახმაურებდა თავის თერმომეტრებს, მაგრამ არ იქნა და არა, ჰაერის ტემპერატურა 2 გრადუსზე მაღლა ვერ ავიდა. ლოდინში უკვე მესამე საათი მიიწურა.

ისმის სიმღერა. — ეს როლანდი შეუდგა გადაცემებს მიწისქვეშ მყოფი ჯგუფებისათვის... როცა მეგრულმა „ნანამ" ყურთასმენა დაატკბო, გერგედავამ ველარ დამალა თავისი აღტაცება, იგი ახლოს მიდის ტელეფონის აპარატთან და სასწრაფოდ ხაზზე იწვევს ლიფონავას „66"-დან.

— კარლო, კარლო, უსმენ ჩვენს ნანას?

— რასაკვირველია!

უფსკრულის „რადიოფიცირებამ" სიმხნევისა და სიხალისის ტალღა შემოიტანა, საყვარელი მელოდიები და რომანსები კი იშვიათი ტკბილხმოვნებით ჟღერდა მიწისქვეშ...

— ალო, ალო, „122", „122".

— გისმენთ, გისმენთ „122".

— გიგინეიშვილი ვარ, ელიავა ცუდად გახდა, ჩანს მაღალი სიცხე აქვს, როგორ მოვიქცეთ?

— რა მოუვიდა, რაშია საქმე?!..

გივი მარწმუნებს, ირაკლი გაცივდაო, მაგრამ მე რაღაც არ მჯერა. უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში ათეულობით მღვიმე და უფსკრული მოგვინახულებია, მიწისქვეშ ხანგრძლივადაც დავრჩენილვართ, ცივ მდინარეებსა და ტბებში სველი სამოსით საათობით გვიტოპია და ერთი შემთხვევაც კი არ გვქონია ვინმე ავად გამხდარიყო; პირიქით, მახსოვს მღვიმეში რამდენჯერ შევსულვარ მსუბუქად გაცივებული და ყოველთვის განკურნებული გამოსულვარ. ეს შეიძლება პარადოქსალურად ეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ასეთია ფაქტები, რომელსაც ჩვენმა მედიკებმა სასურველია, ყურადღება მიაქციონ...

— ავადმყოფს გააყოლეთ გვიმრაძე, აღმოუჩინეთ ყოველგვარი დახმარება...

ლოდინში უკვე მეხუთე საათი მიილია, „ტრანსლაცია" დამთავრდა, ჩვეულმა სიჩუმემ დაისადგურა, ჭეშმარიტ მდუმარებაში მკაფიოდ გვესმოდა სახსრებისა და კისრის მალების ხრჭიალი; ყველა ფიქრს მისცემია, ვინ რაზე ფიქრობს, ვის რა აღელვებს? ჩემს გონებაში რატომღაც არაბას (საფრანგეთი) მასივი ამოტივტივდა უკვე დალაშქრული უფსკრულებით; ამ მასივის კვლევამ საფრანგეთი საერთაშორისო სპელეოსპორტულ სარბიელზე პირველთა რიგებში გამოიყვანა. კირქვული მასივი, რაც უფრო მაღლა მდებარეობს ზღვის დონიდან და რამდენადაც უფრო სქელი კირქვებითაა აგებული, იმდენად უფრო ღრმა უფსკრულებითაა იგი დასერილი. ამ მხრივ არბა საგრძნობლად ჩამორჩება ჩვენს არაბიკას, რაც ჩანს მარტივი შედარებიდან! პალუმერი — არბას უმაღლესი წერტილი 1147 მეტრით დაბალია არაბიკას უმაღლეს მწვერვალზე — „სპელეოლოგთა პიკზე". ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სპელეოლოგიური კვლევისა და სპორტული ჩაღწევების მნიშვნელოვნად მდიდარი პერსპექტივები გააჩნია ვიდრე, ვთქვათ, ისეთ პირველხარისხოვან სპელეოლოგიურ სახელმწიფოს, როგორიც საფრანგეთია; ასეთი მსჯელობა სრულებით არ არის გადაჭარბებული. ფიქრთა და ტკბილ ოცნებათა ბურანში სწრაფად რბის წლები და უცბად 1980 წელში ამოვყავი თავი. რა დიდი ცვლილებები მოხდა განვლილი 18 წლის მანძილზე! არაბიკის მასივის სპელეოლოგიური კვლევა მთელი ძალითაა გაჩაღებული...

ზ. ტინტილოზოვი,

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

(დასასრული იქნება)

დასაწყისი იხ. „ლელო" № 14.

მოტოკროსზე

ამას წინათ დელისის მიდამოებში გაიმართა რესპუბლიკური მოტოკროსი. 125 და 175 კუბატურის მანქანებით გამარჯვებულები გამოვიდნენ რუსთავის მოტოციკლისტები ა. ნედერი და ო. ტატვინიძე. 350 კუბატურის მანქანებით კროსი მოიგო თბილისელმა პირველთანრიგოსანმა ტ. კუჭავამ, ხოლო ყველაზე მძიმე — 500 კუბატურის მანქანებით შეჯიბრებაში უძლიერესი აღმოჩნდა სპორტის ოსტატი ვ. კლემენტიევი (თბილისი).

გ. კოვალიოვი,

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

შევისწავლოთ ეს ილეთი!

ვახტანგ ბალავაძე თავისუფალ ჭიდაობაში ყოველთვის დარჩება მათ მეხსიერებაში, ვისაც უნახავს ეს შესანიშნავი სპორტსმენი თავის სტიქიაში, იგი მარტო ექსტრა-კლასის სპორტსმენი კი არ იყო, არამედ ახალი, შეუდარებელი ტექნიკის შემქმნელი, რომლის გზას ასობით ახალგაზრდა გაჰყვა.

და აი, ჩვენს თვალწინ 4 ფოტოკადრია. პირველზე ვ. ბალავაძე ცდილობს გააკეთოს ილეთი („აწეული შუაფეხით"), მაგრამ მეტოქე მტკიცედ დგას ფეხზე. ვ. ბალავაძე თავის მარჯვენა ფეხით აკეთებს გარეფეხულს (კადრი № 2).

ვ. ბალავაძეს მაღლა აქვს ფეხი, ორივე ხელით თავისკენ იზიდავს მეტოქეს, მაგრამ მას არ ყოფნის ძალა მარჯვენა ფეხის მაღლა ასაწევად. აქ მოხდა „შეცდომა". კლასიკური ტექნიკა ამ მომენტში [illegible] მეტოქე ჰაერში ავიტაცოთ, გამართულ ფეხზე დაყრდნობით ვ. ბალავაძე აკეთებს ვარდნას წინ, მუხლზე. სწორედ ამ ვარდნას გამოჰყავს მისი მოწინააღმდეგე წონასწორობიდან. მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ვ. ბალავაძე ვარდნას აკეთებს არა მუცელზე, წინ, არამედ ძირს. ამასთან მენჯი და მარჯვენა ფეხი რჩება აწეულ მდგომარეობაში, მეტოქე ეცემა ზურგით ხალიჩაზე.

ჩინებულად ფლობდა რა ტექნიკას, მოქნილობას, ვახტანგ ბალავაძე ყოველთვის მაღლა იდგა ფიზიკურად უფრო ძლიერ მეტოქეებზე.

ვ. ალიხანოვი



1



2



3



4

სრულიად გულახდილად

◆

იგორ ნეტო,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

◆

გასული სპორტული წლის საფეხბურთო ვნებათა ღელვა მიწყნარდა. შეიძლებოდა შეგვესვენა ჩვენც, ფეხბურთელებს, დაგვევიწყებინა დროებით ბურთი, დაგვევიწყებინა ყველა ის კარგი და საწყენი, რაც დაკავშირებული იყო მასთან გასულ სეზონში. მაგრამ დაწყნარება ასე იოლი არ არის, იგი ასე ადვილად როდი მოდის! მე სულ პატარა ქალაქზე, არიკაზე ვფიქრობ.

ახლა პრესაში ბევრია ლაპარაკი ჩილში ჩვენი უიღბლობის შესახებ. თუმცა არც თუ ისე ხმამაღლა გაისმის იგი, იმ დროს როდესაც ჩვენი გამოსვლა ჩილში საფეხბურთო ჩემპიონატზე ნამდვილად უიღბლო იყო. სხვა უფრო რბილ გამოთქმას ვერც კი გამოძებნი. შეიძლება სხვებისათვის ორი გამარჯვება, ერთი ფრე და ერთი წაგება უძლიერესთა შეჯიბრებაში ცუდი შედეგი არ ყოფილიყო, მაგრამ ეს ჩვენზე არ ითქმის. მახსოვს შეხვედრა კოლუმბიელებთან, თამაშის წინ მწვრთნელებმა ჩვენს გუნდს დაუსახეს ამოცანა — მოგება დიდი ანგარიშით. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ დამაჯერებელი გამარჯვება კოლუმბიელებზე გუნდისათვის იოლი საქმეა. არა უბრალოდ გამარჯვება, არამედ გამარჯვება დიდი სხვაობით. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ მოგვცეს წინადადება, მეტოქეები გაგვენადგურებინა. რა უნდა გვეპასუხა? ამოცანა, რომელიც ჩვენს წინ იდგა, მოითხოვდა გარკვეულ ტაქტიკურ გეგმას, ჩვენ სწორედ ასეთი გეგმა შემოგვთავაზეს: ფორვარდების შეტევით მოქმედებაში აქტიობა, ნახევარმცველთა მიერ შეტევების მხარდაჭერა. როგორც ყოველთვის, თვითეულმა ჩვენგანმა მიიღო თავისი სათამაშო ამოცანა. დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდიოდა. კოლუმბიის გუნდი თამაშობდა ტიპიური სამხრეთამერიკული მანერით: ფეხბურთელები აჩვენებდნენ ფინტების დახვეწილ ტექნიკას, დიდხანს, აუჩქარებლად ათამაშებდნენ ბურთს. ჩვენ თავიდანვე ავიღეთ მაღალი ტემპი, შევქმენით განუწყვეტელი დაწოლის სიტუაცია. კოლუმბიელები, როგორც ეტყობა, არ ელოდნენ, რომ მატჩი მწვავე ხასიათს მიიღებდა პირველი წუთებიდანვე და დაიბნენ. და აი პირველი, მის შემდეგ მეორე და მესამე ბურთი გადის მათ კარებში. პირველი ტაიმის უკვე მე-15 წუთზე ანგარიში იყო 3:0 ჩვენს სასარგებლოდ! ჩვენ ყველაფერი გამოგვდის, ვთამაშობთ დამაჯერებლად და მსუბუქად. და ვის შეეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ თამაში, როგორც ჩვენთან იტყვიან ხოლმე, გაკეთდა?

პირველმა საპასუხო ბურთმა ჩვენ არც თუ ისე შეგვაშფოთა. იგი შექმნილ ვითარებას არ პასუხობდა და შემთხვევითობას მივაწერდით. დინჯად დავამთავრეთ პირველი ტაიმი, ასევე დინჯად ვისმენდით, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე, დარიგებას: საჭიროა იყოთ ფრთხილნი. შექმნილი მდგომარეობის ბატონ-პატრონებად მეორე ტაიმის დასაწყისში ჩვენს გუნდს ვთვლიდით. მინდორზე გამოსვლის შემდეგ ძალიან მალე გავიტანეთ მეოთხე ბურთიც. ყველაფერი მიდიოდა ისე, როგორც ჩვენ გვსურდა. მე უკვე საათს დავყურებდი: ჩქარა დასასრული იქნება! და უცებ მინდორზე ყველაფერი შეიცვალა...

ცნობილია, თუ როგორ დამთავრდა ეს თითქოსდა მოგებული მატჩი! ფრე — 4:4, რომელმაც მეოთხედფინალში გასვლის პერსპექტივა უფრო გააძნელა.

კოლუმბიელებთან შეხვედრის ამ მოულოდნელმა შედეგმა ჩვენი მწვრთნელები და ფეხბურთელებიც ძალზე დააფიქრა.

გუნდში ყველაფერი რიგზე არ იყო, მაგრამ რაში გამოიხატებოდა ეს? უშეცდომო პასუხი ვერ გამოვძებნეთ და სწორედ ამან მოგვიტანა სავალალო შედეგი ჩილის გუნდთან შეხვედრაში. ჩვენ წავაგეთ და შემდგომ ბრძოლას გამოვეთიშეთ. მე არ შევეხები ამ მატჩის ყველა წვრილმანს, მინდა მხოლოდ გაგიზიაროთ ზოგიერთი შთაბეჭდილება. ახლა ლაპარაკობენ, რომ ჩილის ფეხბურთელებთან შეხვედრის წინ ჩვენ ძალზე ვღელავდით და სწორედ ეს იყო დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. გამოითქვა აზრი, რომ თითქოს დამარცხების წინაშე შიშმა შებოჭა ჩვენი ენერგია და წინასწარ განაპირობა მატჩის შედეგი. ამ აზრს მე ვერ დავეთანხმები. რასაკვირველია, ჩილის გუნდთან მატჩის წინ ჩვენ მშვიდად არ ვიყავით. მაგრამ პასუხისმგებლობის წინაშე შიში სრულიად არ იყო ჩვენი დამარცხების მიზეზი. ჩვენდა საბედნიეროდ წავიდა ის დრო, როცა ყოვლისშემძლე კაცის ერთი სიტყვა საკმარისი იყო იმისათვის, რომ სპორტსმენთა მთელი კოლექტივი დაეშალათ. მე ხომ ვიცი, როგორ გამოაცხადეს ჩვენი ამხანაგები, მოსკოველი არმიელები „ცუდ პატრიოტებად“, როცა 1952 წელს ჰელსინკში ჩვენმა ნაკრებმა დამარცხება განიცადა. რასაკვირველია, როცა ჩილის გუნდთან შეხვედრისათვის ვემზადებოდით, ამ გარემოებისა არ გვეშინოდა.

ძალზე დიდი განსხვავებაა ცნებებში „პასუხისმგებლობის წინაშე შიში“ და „პასუხისმგებლობის გრძნობა“. არაა საჭირო იმის მტკიცება, რომ ეს უკანასკნელი ცნება ყოველ საბჭოთა სპორტსმენში სათანადოდ არის განვითარებული. თამაშის წინ ჩვენი ნერვიულობა გამოწვეული იყო არა შიშით, არამედ გულწრფელი სურვილით, არ გაგვეწბილებინა ისინი, ვინც ყურადღებით და კეთილი სურვილებით ადევნებდა თვალს ჩვენს ძნელ ბრძოლას. ვნერვიულობდით იმიტომ, რომ გვინდოდა რაც შეიძლება უკეთ გვეთამაშა. ამ გრძნობას წინასასტარტო ციებ-ცხელებას უწოდებენ ხოლმე. ეს გრძნობა ძალზე კარგია და იგი საშიში არაა.

ლაპარაკობენ, რომ ჩილის გუნდთან თამაშის წინ ჩვენი მეკარე ლევ იაშინი შორს იყო თავისი სათამაშო ფორმისაგან, რომ საჭირო იყო დროულად შეემჩნიათ მისი მდგომარეობა და კარში დაეყენებინათ ახალგაზრდა თბილისელი სერგო კოტრიკაძე.

მართალია, შეცდომები იყო. ახლა ყველაფერი უფრო უკეთ ჩანს და უკეთ გაიგება. ვფიქრობ, რომ საერთოდ ჩვენს გუნდს თამაშის არც თუ ისე საუკეთესო ტაქტიკური ვარიანტი ჰქონდა არჩეული. ჩვენ ვთამაშობდით სქემით 1—4—1—5. ფაქტიურად, ნახევარმცველის ფუნქციების შესრულება, რომელიც გამოიხატება დაცვისა და თავდასხმის ურთიერთმოქმედებაში, მხოლოდ მე ერთს მიხდებოდა. ახლა ჩემში განმტკიცდა ის აზრი, რომ ჩილში სჯობდა გვეთამაშა სისტემით 1—4—2—4. ჩემის აზრით, ეს ყველაზე პროგრესული სისტემაა. მოსკოვის „სპარტაკმა“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მსვლელობისას გარდაქმნა თავისი თამაში, ფინალური თამაშების დასაწყისშივე დაიწყო ამ ტაქტიკური სქემით თამაში და, როგორც ცნობილია, მიაღწია დიდ წარმატებას, ცნობილია ციფრები: ექვს უკანასკნელ, ყველაზე დაძაბულ მატჩებში „სპარტაკმა“ გაიტანა 13 ბურთი და გაუშვა მხოლოდ ერთი. ჩვენს დამცველებს კი (აღარას ვიტყვი ნახევარმცველებზე) მოულოდნელად და მწვავე შეტევაში ჩაბმის საშუალება მიეცათ. ასეთივე სქემით დაიწყო თამაში მოსკოვის „დინამომ“ და აი შედეგიც — ვერცხლის მედლები. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მათი მედლები შეიძლება ოქროსიც კი ყოფილიყო.

მაგრამ საქმე მარტო ტაქტიკურ სქემაში როდია. თვითეული სქემა თხოულობს შემოქმედებითს გადაწყვეტას, ჩვენ კი მინდორზე ყოველთვის როდი ვახერხებთ შემოქმედებითად მოქმედებას. კარგი და საჭირო თვისებაა — სათამაშო დისციპლინა, მაგრამ ცუდია, როცა იგი გადაიქცევა ხოლმე რაღაც ბრმა შემსრულებლობითობად ფეხბურთელი სათამაშო მანქანა როდია, რომელიც მოძრაობაში მექანიზმს მოჰყავს. დამოუკიდებლობის გრძნობას, ორთაბრძოლის მიმდინარეობისადმი პასუხისმგებლობას არ უნდა ჰკარგავდეს ფეხბურთელი მთელი თამაშის მანძილზე. თვითეული ფეხბურთელის მხოლოდ შემოქმედებითი თამაში ქმნის მაღალი კლასის გუნდს. მე მაგონდება ბრაზილიელთა გუნდის ერთ-ერთი „პრემიერის“ — გარინჩას თამაში. იგი ვირტუოზულად ფლობს ბურთს, მისი მთავარი იარაღია მაღალი სისწრაფე, მცველისაგან უეცრად დაშორება და შესანიშნავი, ძალზედ დახვეწილი გადაცემა. გარინჩას შეუძლია სწრაფად შეაფასოს შექმნილი ვითარება და გადასცეს ბურთი ისე, როგორც ეს მწვავე შეტევის განვითარებისთვისაა საჭირო. მაგრამ ამასთან ერთად გარინჩამ იმ დროს, როდესაც იგი მანევრირებს ხოლმე მინდორზე, თვითონაც იცის ბურთების გატანა.

აი, შესანიშნავი ნიმუში ფეხბურთელისა, რომელიც მოედანზე შემოქმედებითად მოქმედებს. ეს განსაკუთრებით ფასდაუდებელია თანამედროვე მასირებული დაცვის დროს. სამწუხაროდ, ჩვენმა თავდამსხმელებმა ვერ გამოამჟღავნეს შესაფერისი ნიჭი ასეთ მოქმედებაში.

რატომ არის, რომ ჩვენს გუნდებში არ არიან ისეთი მოთამაშეები, როგორიცაა გარინჩა? ჩემის აზრით, აქ პასუხი ერთია: ბავშვებში, რომლებსაც უყვართ ფეხბურთი, ბურთის სრულყოფილად ფლობას თავიდანვე უნდა ვნერგავდეთ. დიდი ფეხბურთის გუნდებში ახალგაზრდა მოთამაშეები უნდა მოდიოდნენ ტექნიკური ილეთების არსენალის დამაჯერებელი ცოდნით. ის, რაც ადრე არა გაქვს შესწავლილი, შემდგომში ათვისება ძნელია, დრო არ ითმენს. დიდი ფეხბურთის ასპარეზზე ოსტატობის მხოლოდ გამდიდრება და დახვეწა შეიძლება.

მაგრამ მწვრთნელმა უნდა იცოდეს, როგორ ასწავლოს. მან თვითონ უნდა იცოდეს და შეეძლოს ყველაფერი იმის გაკეთება, რასაც იგი ასწავლის. მან უნდა თვალსაჩინოდ (და არა თეორიულად) გახსნას ტექნიკური ელემენტების მთელი სიმდიდრე, ამასთან ერთად არა მარტო ისინი, რომლებიც უკვე საყოველთაოდ ცნობილია, არამედ ისინი, რომლებიც ეს-ეს არის ინერგებიან. აი რატომ უნდა ვიფიქროთ სპეციალურ მწვრთნელებზე, რომლებიც ფეხბურთელებთან იმუშავებდნენ ტექნიკური ელემენტების ათვისებაზე. ეს განსაკუთრებით საჭიროა ჭაბუკთა გუნდებში. ყოფილ ფეხბურთელს არ შეუძლია ასწავლოს ახალგაზრდობას, თუ იგი თვითონ თავის დროზე არ გამოირჩეოდა თამაშის მაღალი ტექნიკით.

დიახ, მთელი ჩვენი ფეხბურთის ტექნიკური ზრდის პრობლემის გადაწყვეტა ყველაზე პირველი და მთავარი საკითხია. ამ საქმეს დაუყოვნებლივ უნდა მოვკიდოთ ხელი, თუ ჩვენ ტექნიკაში კვლავ გვექნება ნაკლოვანებები, ყოველთვის უსიამოვნებასთან გვექნება საქმე. და ამ უსიამოვნებათა თავიდან მოშორებას ვერავითარი ახლად გამოგონებული ტაქტიკური სქემა ვერ უშველის. თვითეული სქემა მხოლოდ თეორიაა თუ მისთვის არა გვყავს შემსრულებელი. თავის მხრივ კი მრავალფეროვანი ოსტატობა ბადებს მაღალკვალიფიცირებულ ტექნიკას და ამ წარმტაც შემოქმედებას საზღვრები არა აქვს.

• • •

რედაქციისაგან: ვბეჭდავთ რა სსრ კავშირის ნაკრები გუნდის კაპიტნის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ი. ნეტოს წერილს, ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით მას. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წერილის ის ნაწილი, სადაც ი. ნეტო ეხება ბავშვთა შორისმუშაობის მდგომარეობას და მწვრთნელთა დაბალ კვალიფიკაციას. ასეთ პირობებში ოსტატთა გუნდებისათვის შესაფერისი ხარისხის შემცვლელი თაობის აღზრდა ძალზე ფერხდება. ანალოგიური მდგომარეობაა ჩვენშიც, ამიტომ საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა ბავშვთა შორის მუშაობის საკითხზე მიიღო ვრცელი დადგენილება და დასახა შესაბამისი ღონისძიებანი. ვფიქრობთ, ბავშვთა შორის მომუშავე მწვრთნელები სერიოზულად ჩაუფიქრდებიან შექმნილ მდგომარეობას და მთელ თავიანთ უნარს მოახმარენ მაღალი კლასის ოსტატთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ოსტატები განიცდიან დამარცხებას

უთოვლო, თბილმა ზამთარმა თბილისელ ჩოგბურთელებს, ისევე როგორც გასულ წელს, შესაძლებლობა მისცა ქალაქის ჩემპიონატი ღია კორტებზე ჩაეტარებინათ.

მართალია, გრილმა ამინდმა და მოედნების არც თუ ისე კარგმა მდგომარეობამ ხელი ვერ შეუწყო მაღალტექნიკური თამაშის ჩვენებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელი რიგი შეხვედრები საინტერესოდ წარიმართა. განსაკუთრებით ეს აღსანიშნავია ფინალურში, სადაც ბრძოლა ძალზედ დაძაბული გამოდგა. დედაქალაქის უძლიერესი ჩოგბურთელის სახელის მოსაპოვებლად ბრძოლაში ჩაება 16 ქალი და 32 ვაჟი. მართალია, მათი უმრავლესობა არ აცხადებდა პრეტენზიას № 1 ჩოგბურთელზე, მაგრამ საპრიზო სამეულში გასვლაზე ზოგიერთი მათგანი სერიოზულად ფიქრობდა. ქალთა ტურნირის დასაწყისი ჩატარდა ოლიმპიური სისტემით. როცა შეჯიბრების მონაწილეთა რაოდენობა ოთხამდე დავიდა, მათ შორის შეჯიბრება გაგრძელდა წრეობრივი სისტემით. გათამაშების ასეთივე სისტემა აირჩიეს ვაჟებმაც. ტურნირი ქალთა შორის ძალზე საინტერესო გამოდგა. ქალთა ტურნირის გმირი იყო თბილისის 43-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ალა ივანოვა. პირველ წრეში ივანოვა შეხვდა ნ. თუხარელს. აღსანიშნავია, რომ თუხარელი ორი წლის განმავლობაში ივანოვას ყოველთვის უგებდა. ივანოვამ მასთან შეხვედრაში მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა — 6:3, 7:5. ამ წარმატებამ ივანოვას თამაშში მეტი დამაჯერებლობა შეიტანა. ამის შემდეგ იგი უნდა შეხვედროდა საბჭოთა კავშირის უძლიერეს ათეულში შემავალ ჩოგბურთელებს — სპორტის ოსტატებს ი. ერმოლოვასა და რ. აბუანდაძეს. როცა ერმოლოვამ მას მოუგო მეორე პარტია — 7:5 და ამით ანგარიში გაათანაბრა (1:1), ბევრი ფიქრობდა, რომ ივანოვა დამარცხებას ვერ გადაურჩებოდა. მაგრამ მან ძალზე აგრესიულად დაიწყო თამაში გადამწყვეტ პარტიაში და ანგარიში წაიყვანა კიდეც — 4:0. შემდგომში ერმოლოვამ მოახერხა ანგარიშის

(დასასრული მე-4 გვ.)

• • •

სურათებზე: ზემოთ — თბილისის 1963 წლის ზამთრის ტურნირის ჩემპიონი ა. ივანოვა თამაშის დროს; ქვემოთ (მარცხნიდან) — ნ. თუხარელმა, ა. ივანოვამ, ლ. რიაზანოვამ და ნ. რუხაძემ ჩოგბურთელთა ზამთრის პირველობაზე კარგი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება გამოამჟღავნეს, მათ ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს უფროს კოლეგებს და მაყურებელთა მოწონებაც დაიმსახურეს.

ფოტო ი. იუნაევისა,



ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტსმენთა აღზრდის კერა

რუსთავის ბავშვთა სპორტულ სკოლას (დირექტორი პ. ნოვოსელცევი) თავისი არსებობის 11 წლის მანძილზე არაერთი კარგი სპორტსმენი აღუზრდია. სკოლას ჰყავს ძლიერი კალათბურთელები, ფრენბურთელები, ტანმოვარჯიშეები, მაგიდის ჩოგბურთელები. გასული წელი სკოლის სპორტსმენებმა წარმატებით დაამთავრეს: საქართველოს პირველობაზე III საპრიზო ადგილი დაიკავეს.

ბათუმში ჩატარებულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაზე კალათბურთელმა ვაჟებმა პირველი ადგილი დაიკავეს. ასევე პირველი იყო ფრენბურთელ გოგონათა გუნდიც.

კალათბურთელ გოგონათა გუნდმა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ამავე გუნდის წევრები დები ელიზა და ნელი ღურმიშიძეები შეყვანილი არიან თბილისის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდში. კალათბურთელები ო. მენაბდე და ა. ზაქარინი ვარჯიშობენ რესპუბლიკის ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებ გუნდში.

სკოლაში დანერგილია სპორტის 11 სახეობა, რომელშიც 523 მოსწავლეა გაერთიანებული.

• • •

სურათებზე: მარცხნიდან — 11 წელია რუსთავის ბავშვთა სპორტულ სკოლაში მწვრთნელად მუშაობს რ. ჭედია. მის აღზრდილ კალათბურთელებს არაერთხელ უსახელებიათ თავი რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე; სპორტულ სკოლაში ერთ-ერთი, მოწინავეა ტანვარჯიშის სექციაც. ძელზე ვარჯიშობს გ. ჟაბსკაია, რომლის მწვრთნელია შ. ჩემია — მარჯვნივ.

ფოტო და ტექსტი რ. გაბრიჭიძისა.

ოსტატები განიცდიან დამარცხებას

(დასასრული)

გათანაბრება — 4:4, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება მაინც მოზარდ ჩოგბურთელს დარჩა — 8:6. უკანასკნელად ის აბჟანდაძეს უნდა შეხვედროდა, რომლის შედეგს უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა მისთვის, რადგან მას უკვე განაღდებული ჰქონდა პირველი ადგილი. და მაინც ივანოვამ გამოიჩინა დიდი სწრაფვა გამარჯვებისადმი. იმ დროს, როდესაც გადამწყვეტ პარტიაში აგებდა ანგარიშით 1:4, მან პარტია და საერთოდ შეხვედრა თავის გამარჯვებით დაამთავრა. ამგვარად, ივანოვამ მოიპოვა თბილისის ჩემპიონის ტიტული (მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი მ. კლდიაშვილი). მეორე ადგილი დაიკავა ი. ერმოლოვამ, მესამეზეა — ნ. თუხარელი, რომელმაც თავის მხრივ დაამარცხა სპორტის ოსტატი აბჟანდაძე — 11:9, 7:5. რაზე ლაპარაკობს ქალთა ტურნირის ეს შედეგები? თუ მოვიგონებთ იმას, რომ ივანოვამ 1961 წელს ასეთივე ტურნირში აიღო პირველი ადგილი, შეიძლება ითქვას, რომ მისი წარმატება შემთხვევითი არ არის. ეს მდგომარეობა ლაპარაკობს კიდევ სხვა ამბის შესახებაც — ჩვენი წამყვანი ჩოგბურთელები ეტყობა ნაკლებად მუშაობდნენ თავის თავზე ზამთრის პერიოდში და ამის გამო ახლა არც თუ ისე კარგ სპორტულ ფორმაში არიან. ეს არც ერმოლოვასა და არც აბჟანდაძეს არ ეპატიებათ. ერმოლოვასა და აბჟანდაძეს წინ ხომ საპასუხისმგებლო შეხვედრები ელით სევერო-დონეცკში, ტალინსა და მოსკოვის საერთაშორისო შეჯიბრებებზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. ერმოლოვამ ამ შეჯიბრებაში ორჯერ გაიმარჯვა.

ვაჟთა ტურნირში დარჩა ჩასატარებელი კიდევ ერთი შეხვედრა (ა. ვერულავა-პ. მეტრეველი), მაგრამ ჩემპიონი აქაც გამოვლინდა. ეს საპატიო წოდება მოიპოვა ა. ვერულავამ, რომელმაც მთელი შეჯიბრება წაუგებლად ჩაატარა. ტურნირის მეორე პრიზიორია გ. ღარიბაშვილი, რომელმაც ეს ადგილი მოიპოვა გასული წლის ჩემპიონთან ძალზედ დაძაბულ ბრძოლაში — 4:6, 6:4, 16:14!

ფ. ლეონიძე

გასული წლის სეზონის შედეგების მიხედვით მოეწყო მსოფლიოს უძლიერეს პროფესიონალ მოკრივეთა კლასიფიკაცია მძიმე წონაში. აქ როგორც მოსალოდნელი იყო, პირველ ადგილზეა მსოფლიოს ჩემპიონი სონი ლისტონი. მისი ამასწინანდელი მეტოქე, ექს-ჩემპიონი ფლოიდ პატერსონი მეორე ადგილზე გადავიდა. მესამე ადგილზეა სიაში, კიდევ ერთი ექს-ჩემპიონი შვედი ინგემარ იუჰანსონი — ამჟამად ევროპის ჩემპიონი პროფესიონალთა შორის.

დღეს, მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ პროფესიული კრივის მე-9 ნომერზე, ჰენრი კუპერზე (სურათზე მარჯვნივ). მართალია, იგი ოფიციალურად არ არის ევროპის ჩემპიონი (რადგან იგი ამჟამად შეერთებულ შტატებში იმყოფება), მაგრამ სპეციალისტები მას უძლიერესად თვლიან ევროპაში. ჰენრი კუპერს ჰყავს ტყუპი ძმა ჯიმი, რომელიც ასევე მოკრივეა (სურათზე მარცხნივ).

კუპერებს იშვიათად ნახავთ სავარჯიშო დარბაზში, იქ, სადაც საწვრთნელ მეცადინეობებს ატარებენ სხვა მოკრივეები. ძმებს აქვთ საკუთარი სპორტული დარბაზი და ისინი მხოლოდ ერთმანეთში ვარჯიშობენ. ამ სურათზე აღბეჭდილია მათი ვარჯიში „კუპერების სპორტულ დარბაზში“. ძმები ერთმანეთში სპარინგებსაც ატარებენ და მხოლოდ ოფიციალური შეჯიბრების წინ გამოდიან „ხალხში“.

სტარტები ყინულზე

მოსკოვსა და ალმა-ატაში აღიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ალამი ციგურებით რბენაში. მოსკოვში ასპარეზობენ ქალები, ხოლო ალმა-ატაში — ვაჟები.

მწვავედ დაიწყო ბრძოლები პირველ ორ დისტანციაზე ქალთა შორის. 500 მეტრზე რბენაში გამარჯვებული გამოვიდა ივანოვოს „ბურევესტნიკის“ წარმომადგენელი ი. ეგოროვა, რომელმაც აჩვენა შედეგი — 47,9 წამი. მეორე და მესამე ადგილები გაიყვეს ლენინგრადელებმა თ. რილოვამ და ტ. სიდოროვამ — 48,2 წამი.

სპრინტერულ დისტანციაზე წარუმატებლად გამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონი, მოსკოველი ინგა ვორონინა. სამაგიეროდ, მან შესანიშნავი შედეგი აჩვენა 1500-მეტრიან დისტანციაზე — 2 წუთი და 30,7 წამი. მომდევნო საპრიზო ადგილები ამ დისტანციაზე დაიკავეს სვერდლოვსკელმა ვ. სტენინამ — 2.35,8 და ჩელიაბინსკელმა ლ. სკობლიკოვამ — 2.36 6.

ორი დისტანციის შემდეგ მრავალჭიდში გამარჯვებისათვის ბრძოლის სათავეში ჩაუდგა ი. ვორონინა. მას 99.433 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე მიდიან თ. რილოვა — 100,466, კ. სერეგინა (ალმა-ატა) და ვ. სტენინა — ორივეს 101,333 ქულა.

ვაჟთა შორის 500-მეტრიან დისტანციაზე საუკეთესო დრო ჰქონდა მსოფლიოს ჩემპიონს ე. გრიშინს — 40,6 წამი. მეორე და მესამე ადგილები აქაც ორმა სპორტსმენმა გაიყო — კუიბიშეველმა ლ. ზაიცევმა და სვერდლოვსკელმა ვ. ვასნეცოვმა. მათი შედეგია 41,2 წამი.

მეორე დისტანციაზე — 5.000 მეტრზე გამარჯვებული გამოვიდა მინსკელი სპორტის ოსტატი ე. მატუსევიჩი, რომელმაც აჩვენა ბრწყინვალე შედეგი—7.50 5. ბ. სტენინმა (სვერდლოვსკი) მეორე ადგილი დაიკავა. ხუთკილომეტრიანი დისტანციის გავლას მან მოანდომა 7 წუთი და 53 წამი. ამ შედეგის მეოხებით ბ. სტენინმა პირველ ადგილზე გადაინაცვლა მრავალჭიდის ორი სახეობის გავლის შემდეგ — 88,800 ქულა. მეორე ადგილზეა ე. მატუსევიჩი — 89,450, მესამეზე — ვ. გუროვი (მოსკოვი) — 89,570.

შეჯიბრების მეორე დღემ გამოავლინა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები მრავალჭიდშიც და დარჩენილ დისტანციებზეც. ქალთა შორის 1.000 მეტრზე რბენაში ი. ვორონინა მეტად დაბალი შედეგით დაკმაყოფილდა და დაიკავა მხოლოდ 21-ე ადგილი. ამ დისტანციაზე გაიმარჯვა თ. რილოვამ (1.40,1), რომელმაც მრავალჭიდშიც გადაუსწრო ლიდერს. მაგრამ უკანასკნელ დისტანციაზე — 3 000 მეტრზე ი. ვორონინამ კვლავ დაიბრუნა უპირატესობა. 5.18,6 წუთით ის პირველი იყო ამ დისტანციაზეც და გამარჯვებული გამოვიდა მრავალჭიდშიც. მეორე ადგილი მრავალჭიდში მოიპოვა ვ. სტენინამ, მესამე — ლ. სკობლიკოვამ.

ვაჟთა შორის 1.500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ბ. სტენინმა — 2.14,4, ხოლო 10.000 მეტრზე — ო. შაპაროვმა — 16.42,6. ბ. სტენინი პირველი აღმოჩნდა მრავალჭიდშიც, სადაც მან დააგროვა 185,380 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს ვ. გუროვმა — 186.010 და რ. მერკულოვმა — 186,281.

იმედები გაუცრუვდა

როდესაც სამოყვარულო ჩოგბურთის ტრიუმფატორმა როდ ლეივერმა სიხარბე გამოიჩინა და ფულის გულისათვის პროფესიონალი გახდა, იგი იმედოვნებდა, რომ ახალ სარბიელზეც წარმატებებს მიაღწევდა. მაგრამ ყოფილ მოყვარულს იმედები გაუცრუვდა.

და აი, უიმბლდონში ორგზის გამარჯვებული ლეივერი პირველად გამოვიდა კორტზე, როგორც პროფესიონალი. უნდა ითქვას, რომ მისი ახალი მეტოქეები იყვნენ მსოფლიოში უძლიერესად მიჩნეული პროფესიონალი ავსტრალიელი ჩოგბურთელები კენ როზუელი, რომელიც რიკარდო გონზალესის „გადადგომის“ შემდეგ ითვლება უპირველეს „ვარსკვლავად“ და „კრამერის ცირკის“ პრემიერი ლუის ჰოადი. როზუელმა სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე სამი პარტია მოუგო ლეივერს. რაც შეეხება ჰოადს, მან წააგო პირველი პარტია, მაგრამ შემდეგ ასევე დიდი დაძაბულობის გარეშე დაამარცხა მეტოქე.

ასე რომ, ჯერჯერობით ლეივერს მწარე სანანებლად დარჩა მოყვარულთა ჩოგბურთის დატოვება და პროფესიონალებში გადასვლა.

ქევინ ბერის კიდევ ერთი რეკორდი

სულ ახლახანს ახალგაზრდა ავსტრალიელმა მოცურავემ — კევინ ბერიმ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 220 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ ნიჭიერმა სპორტსმენმა კიდევ ერთი ცვლილება შეიტანა რეკორდების ცხრილში — მან 110 მეტრზე ცურვაში დაამყარა ახალი რეკორდი — 59 წამი, რაც 0,4 წამით უმჯობესია მის მიერ ადრე დამყარებულ რეკორდზე.

რედაქტორი ი. უგულავა.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-85-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვებს — 3-01-06.